

"მე შენ მიყვარდი, შენ მნათობდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შევეძლო..."

ნიკოლაჟის გზით



პროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი № 1 (279) 24 იანვარი, ხუთშაბათი, 2019 წელი; ფასი 1 ლ.

ყური უბღეთ ღვთის კაცს!

პატრიარქის ხაშობათ ეპისკოპოსი



ინებოს ღმერთმა, ჩვენც, მოგვთა მსგავსად, ნელ-ნელა ავმადლ-დეთ გულისხმისყოფისა და სრულყოფის კიბეზე, შევიძინოთ რწმენით, სასოებითა და სიყვარულით, რომ გვოვით ბეთლემის ბაგასა შინა მწოლი იესო და განვეშორეთ უკეთურ ბრძანებებსა და მზაკვრობას პეროდე მეფისას, რომელმაც 14 000 ყრმა მოაკვლევინა იმ იმედით, რომ მათ შორის მოაკვდინებდა ახლადშობილ ძეს ღვთისას (მასში მომავალ მეფეს და მეტოქეს ხედავდა) და ამით თავის ამქვეყნიურ მეფობას გაიხანგრძლივებდა.


საუკუნეთა მანძილზე უფლამდე მისასვლელი გზა მუდამ ნარ-კელიანი იყო, ვიწრო და ძნელად სავალი, რადგან ყოველ ეპოქას თავისი პეროდე ჰქონდა, რომელიც ძალაუფლების შესა-ნარჩუნებლად არ ერიდებოდა ბოროტ, ბილწ საქმეთ, არ ერიდებოდა არც უდანაშაულო ყრმათა მოწყვეტას, ოღონდ ადამიანები თავის მონობაში ამყოფოს და შემოქმედი დააევიყოს.

ჩვენს დროშიც მისი მოქმედებანი სხვა და სხვა სახით ვლინდება: აბორტით მოწყვეტილ ჩვილთა სისხლი ცას შეჰვადლადებს, ნარკომაზია, ახარტული თამაშები თუ უზნეო ცხოვრების წესი ათასობით ახალგაზრდას იჭირავს და ეს დანაშაულებანი ჩვენგან პასუხს ითხოვს.

პეროდეულები სული იმასაც ცდილობს, ისეთი გარემო დაამკვიდროს, სადაც მისაბაძი აღარ იქნება სხვისთვის არა თუ თავის გაწირვა, ნაცვალდების გარეშე სიკეთის ქმნაც კი; მისაბაძი აღარ იქნება ზნეობრიობა და სიწმინდე და ადამიანებს დასშული ექნებათ სინდისის ხმა.

ქართულად, იარათ ღვთიური გზით!

19 იანვარს აღინიშნა წათლისებება - ერთ-ერთი უმთავრესი ქრისტიანული დღესასწაული



ტროპარი: რაჟამს იორღანეს წათელ ილე შენ, უფალო მაშინ სამებისა თაყვანისცემა გამოუსწრდა, რამეთუ მაშისა სმა გეწამებოდა, და საყურადღად კედ სახელ-გღვთა შენ, და სული წმიდა სახითა ტრადი-სათა დაამტკიცებდა სიტყვისა მის უცდომელოებასა, რომელი განსცხადენ, ქრისტეა ღმერთო, და ყოველი სოფელი განანათლენ, დიდება შენდა!

კატანდობა ქვეყანამ ძველებურად აღნიშნა - ჩვენი წინაპრების საყვარელი დღესასწაული



ლია წმირილი საქართველოს პრეზიდენტს
ფოთელთა ივანი და პოლონი
საქართველოს პრეზიდენტად დიდი ნიჟო ნიჟოლაჟის შთამომავლის, ქალბატონ **სალომე ზურაბიშვილის** არჩევის გამო

ქვეყნის სამხედრო - გეოსტრატეგიული სიმდიდრე არ უნდა იყიდებოდეს
ფოთელები 30 წელია ღრმანყლიანი პორტის მშენებლობას ითხოვენ, რასაერ ახლთ ისეც უცხოელებს უთმონენ
მე-2 გვ

კატანდობას ვულოცავთ!
ლეო გოკერია - აღაშინანი ლეგენდა
კატინი მივაგოთ დიდ ფოთელს, მსოფლიო დონის დასტაქარს
ლეო გოკერიას და მისი სახელი მივაკუთვნოთ ფოთის ერთ-ერთ ქუჩას




მე-5 გვ

დროში განალიზი აქვები
რუსეთი აგრესორია, მსოფლიომ, მაგრამ რა მსოფლიომ, მაგრამ რა დაპარკვით „ნაცმოძრაობის“ მიერ რუსების დაკვეთით შემსრულებული საბაზის მთელ პროცესს და ცხრაწლიან ომს საკუთარ ხალხთან და ქვეყანასთან ვინ დაიწყო ომი და ვინ ნაშობო რუსეთის კარგად გათვლილ პროპოკაზიანს?
მისეილ სააკაშვილმა კი არ დაიწყო ომი რუსეთთან, რუსეთს ომი დააწვებინა მე-4-გვ



სათანადოდ დაეფასოთ დირსაული ფოთელაბი
ვიქტორ კრატასიუპი 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადის ოქროს მედალოსანი სანიზბოსნო სკორტში
მე-5 გვ


„ფაზინის“ აკადემიის სლომა სამოგლო, მაგული, უთამოგავლობა ანზორ თოთაქა:
დემოგრაფიული მდგომარეობა საქართველოში
მე-4 გვ



საქართველოს პოლიტიკური ორიენტირი - 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები
ბიძინა ივანიშვილი უნდა დაბრუნდეს ხელისუფლებაში, რათა „ნაცები“ საბოლოოდ გავისტუმროთ პოლიტიკური არენიდან
30 წელი დემოკრატიის გზაზე - შეერდომები და მიღწევები
მე-4 გვ



ჯემალ თოფურიას ხსოვნისადმი მიძღვნილი IX საჭადრაკო ფესტივალი
მე-8 გვ



ჯემალ ჩახავას მონატრება
„...წერ, ღმირ, სიჭაბუქე რის უწერდა ვაფრინდა და წყის მდის მეფერებს თვითმური ვლასტიფან...“
მე-7 გვ

ღია ფერილი საქართველოს პრეზიდენტს

ფოთელთა იმედი და მოლოდინი

საქართველოს პრეზიდენტად დიდი ნიჟო ნიჟოლაის შთამომავლის, ქალბატონ **სალომე ზურაბიშვილის** არჩევის გამო ქვეყნის სამხედრო გეოსტრატეგიული სიმდიდრე არ უნდა იყიდებოდეს ფოთელები 30 წელია ღრმანყოფიანი პორტის მშენებლობას ითხოვენ, რასაჲ ახლად ისევე უყრბოელებს უთმოზენ



საქართველოს პირველი ქალი პრეზიდენტი ემიგრანტთა ოჯახში, პარიზში დაბადებული და აღზრდილი, ევროპული ტიპის პოლიტიკოსი ქალბატონი **სალომე ზურაბიშვილი** ქვეყანას ახალი რეალობის წინაშე აყენებს. ფოთელებს კი ორმაგი სასიხარულო საბაზი გვაქვს-ფოთის აღმშენებლის, მსოფლიო დონის მოაზროვნისა და მოღვაწის დიდი ნიჟო ნიჟოლაის შთამომავლი **სალომე ზურაბიშვილი** გააგრძელებს დიდი წინაპრის გზას და დაგვეხმარება ქალაქისათვის სასიცოცხლო პრობლემების გადაწყვეტაში. ასევე, იმედი გვაქვს მშობლიურ ქალაქს ვალში არ დარჩება კოლხეთის მინდობად წოდებული ცნობილი აკადემიკოსის, აღმშენებელი მოწოდებლის შვილიშვილი, სრულიად ახალგაზრდა კაცი - სამეგრელო ზემო-სვანეთის გუბერნატორი **ალექსანდრე პონეკალაი.** დასაბინაია, რომ საქართველოს საზღვაო კარიბჭე - საზღვაო სავაჭრო პორტი ერთი ამწის ფასად გაიყვია, ტერმინალად იქცა და ქალაქს წაართვეს განვითარების პერსპექტივა. მრავალ მიზეზთა გამო დიდი ნიჟოლაის კონცეფცია ფოთის „აბრეშუმის გზის“ ფორფოსტის შესახებ დამუხრუჭდა, რამაც გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე. შეჩერდა ტრანსკონტინენტური მეგაპროექტების განხორციელება.

უფუნქციოდ დარჩენილი ქალაქ ფოთის მოსახლეობას ნაკლებად სჯერა, რომ უცხოელების, ფოთის პორტის მეპატრონეების მიერ აშენებული ახალი ნავსადგური ხალხის სამსახურში ჩადგება და დუბანი ან სინგაპური გახდება! ფოთელებს ისიც კარგად ახსოვთ, რომ ფოთის ახალი ღრმაწყლიანი ნავსადგურის მშენებლობის საინციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი, ბატონი **ჯავაზ ბარსაგია** წლების განმავლობაში იყო ფოთის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის მთავარი ინჟინერი და როგორც მისი გაყიდვა - გასხვიების ხელშემშლელი, განათავისუფლეს სამსახურიდან და ლამის სამშობლოს მოღალატედ გამოაცხადეს. ბატონი ჯავაზის ახალი ღრმაწყლიანი ნავსადგურის პროექტი მსოფლიოს წამყვანმა სპეციალისტებმა მოიწონეს, ინვენსტორები გამოჩნდნენ, მაგრამ, ხომ იცით - „უჩემოდ ვინ იმღერეთათ“, არც წინა და არც ახალმა მთავრობამ ეს პროფესიონალი კაცი არ გაიკარა, ამის თაობაზე ვესაუბრეთ ბატონ **ჯავაზ ბარსაგიას** ფოთის ღრმაწყლიანი პორტის მშენებლობის საინციატივო ჯგუფის ხელმძღვანელს.

ბატონო ჯავაზ, 30 წლიანი ბაკოლის შავლაზ ბაქოლია შაჰი ბეკიანი ბოლოს. მართალი ბრძანდებით. დიდი ფოთელთა მოლოდინი საქართველოს პრეზიდენტად ფოთის აღმშენებლის დიდი ნიჟო ნიჟოლაის შთამომავლის ქალბატონ **სალომე ზურაბიშვილის** არჩევის გამო. საქართველოს სამხედრო - გეოსტრატეგიული, უმნივნელოვანე- 24 იანვარი 2019 წელი

სი პრიორიტეტის განმსაზღვრელი ობიექტების გასხვივება უცხოურ კომპანიაზე დაუშვებელია. საჭიროა სახელმწიფოებრივი მიდგომა, გეოსტრატეგიული ფუნქციის დაბრუნება, სტრატეგიული ობიექტის ქვეყნის სახარგებლოდ განვითარების საქმეში, რომელიც სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური და მოუკიდებლობის, პარტნიორობის, პოლიტიკურ ურთიერთობების დათმობის გასაღებებია და ამ უდიდესი სახელმწიფო მისიის დატოვება კერძო კომპანიებს, ბიზნესის ხელში და მათი კერძო ინტერესებამდე დაყვანა, თუნდაც იყოს დიდი კომპანია, ლალატის ტოლფასია.

ქვეყნის საზღვაო პრიორიტეტი სახელმწიფო პრობლემების გადაწყვეტის სამსახურში უნდა იყოს, ესაა პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირები ყველა პარამეტრებით ყველა ქვეყანასთან, მათ შორის რუსეთთან, რომელსაც „ნაცვები“ ხან ეომებოდნენ, ხან ყველა სტრატეგიულ ობიექტს აბარებდნენ და საერთაშორისო ტვირთების გადაზიდვაში ტრანსკონტინენტურ მისიაში მათთან ჩართვა, რატომ არის „ცოდვა“ თუ ეს ქვეყანას წაადგება. ეკონომიკური ურთიერთობები არეგულირებს პოლიტიკურ ფასეულობებსაც და ვინ იცის როგორ განვითარდება მოვლენები. რუსეთი აგრესორია, მაგრამ ის მაგანმა გამოიყენა, საბაზი მისცა და თავადაც ისარგებლა, (ეს ცალკე საზღვრის თემაა). ახალი საერთაშორისო ურთიერთობები ყალიბდება. უნდა განვახორციელოთ ის მისიაც, დიდმა ნიკო ნიკოლაძემ დაგვიჩაჩიხა და გამოიყვანა ფოთის დიდი სტრატეგიული შესაძლებლობა. ზღვივით, სმელებით, როგორც ევრაზიის დერეფნისა და არა უცხოურ ფირმა „მაკრესკს“ მივანდეთ ქვეყნის ბედი. ერთხელ დაუშვით შეცდომა და ნუ გაკემფორებით. სადაც ეს კომპანია შევიდა ყველა პორტი გააკოტრა და ჩაძირა, რათა იაფად შეესყიდა, ვინ იცის ეს მიზნები ამოძრავებს.

საქართველოს წინ აქვს დიდი ეკონომიკური ასპექტები რუსეთის ჩართულობით. საქართველო მას უფრო სჭირდება, ვინემ წართმეული მხარეები, რომელსაც მსოფლიო არასოდეს ადარებს და მსოფლიო თავსატეხი იქნება მისთვის.

იმედი გვაქვს ქალბატონი **სალომე ზურაბიშვილის** მხარდაჭერით ამოვიღოთ იმ პოლიტიკური და ეკონომიკური კოლაფსიდან, სადაც ჩვენ ვიმყოფებით ბოლო 30 წელი და დიდ ქვეყნებთან და მათ შორის რუსეთთანაც გამოვწავით საერთო ენას გეოპოლიტიკური სივრცის გაა- მოყენებით. ჩვენ მოვმართავთ თქვენ, როგორც საქართველოს პრეზიდენტს, როგორც ფოთის აღმშენებლის, დიდი ნიკო ნიკოლაძის შვილიშვილს, რომელმაც მთელი მისი ცოდნა-ნიჭი და ცხოვრების დიდი ნაწილი მოახმარა ფოთის ნავსადგურის მშენებლობას და მთლიანად ქ. ფოთს. დიდი ნიკო ოცნებობდა საქართველოს ტრანსკონტინენტურ მისიაზე და კქონდა საზღვაო-რკინიგზის საერთაშორისო მნიშვნელობის პროექტები შემუშავებული. ჩვენ ავიტაცეთ მისი ინიციატივა და ნავსადგურის დაკარგვის შემდეგ, როცა ფოთმა და ქვეყანამ დაკარგა სამხედრო გეოსტრატეგიული პრიორიტეტი, დაავიწყეთ მიება ერთად-ერთი გამოსავლისათვის, ჩვენ დაკარგეთ საზღვაო ქვეყნის სტატუსი, ჩვენ ვერ ვიყენებთ ერთადერთ „აბრეშუმის გზას“ რომელიც ჩვენ დემერტმა გვარგუნა, რომელიც არსებობს 2000 წელია, ასე წერდა სტრატონი. ამ გზის ცენტრი იყო, არის და იქნება ქ. ფოთი - ფაზისი, დღეს მთელი მსოფლიო იბრძვის და სხვადასხვა

ხერხით ცდილობს გამოიყენოს ეს შანსი, იყოს მონაწილე ამ კორიდორის, რომელსაც კქვია „აბრეშუმის გზა“.

ბატონო ჯავაზ, ჩვენ რატომ არ ვიყენებთ ამ შანსს?

ბოლო 30 წელია ვცდილობთ მის გამოყენებას მაგრამ ამაოდ ვერ ვიყენებთ, მომავალიც არ ჩანს. ფოთელთა საინციატივო ჯგუფის წინადადება და მოთხოვნა მდგომარეობს იმაში, რომ დაკარგული ნავსადგურის ნაცვლად ქ. ფოთში გაშენდეს ღრმაწყლიანი საერთაშორისო ახალი ნავსადგური.

მშენებლობის ვარიანტი ორნაირია: ამ მშენებლობის თანმიმდევრობა ჩვენ გამოვაქვეყნეთ სლაიდზე და ინტერნეტში, ასევე ჩვენ ვითხოვთ ქ. ფოთი დარჩეს საქართველოს საზღვაო კარიბჭედ, რომელიც საქართველოს საზღვაო ქვეყნის სტატუსს აძლევს, ამის ყველა მონაცემები და პირობები ქ. ფოთს

დამატებით განხილვა 10 სამდინარო ტერმინალი - სამტრედია, ქუთაისი, საშური, გორი, ზესტაფონი, კასპი, მცხეთა-თბილისი, რუსთავი. დამატებით განხილვა კიდევ არა ნაკლები 15 -ათასი საშუალო ადგილი, ჩვენს რეგიონში განხილვა ახალი საწარმოებები, როგორც არის საქ. საზღვაო მშენებლობა, საქ. საზღვაო ნაპირსამაგრი სამუშაოები. მდინარე რიონის ქვიშის გადამამუშავებელი ქარხნები. რომელიც გამოიყენება კერამიკის წარმოების დროს. ასევე არის საინტერესო წინადადებები თევზის მრეწველობის აღორძინების განვითარებაში. გემების სარემონტო სამუშაოების წარმოებაში, ასევე არის მოსაზრება, საქართველოს ზღვის სანაპირო ზოლის ნაპირსამაგრი სამუშაოებზე, 9 საზღვაო ტრამვაი „კატარღები“ იგივან ზღვის სანაპიროზე და ყველა დასახლებულ პუნქტს გააერთიანებენ. საოკეანო თევზჭერის ყოფილ



აქვს. ყველაფერი ეს გათვლილია ჩვენ საზღვაო კონცეფციაში, რომელიც გათვლილია ქ. ფოთის და საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის.

უფროსს **ბურაკი დოლაიას** აქვს ბრწყინვალე პროექტები თევზის მრეწველობის აღორძინების თაობაზე საქართველოში, მაგრამ თუ მთავრობიდან არ იქნა ხელშეწყობა, არაფერი არ გამოვა.

ჩვენ არაერთხელ გამოვთქვით ასევე მოსაზრება, რომ ქ. ბათუმი გახდეს სუფთა საკურორტო ქალაქი, ამისათვის საჭიროა გამოსყიდული იქნას ამჟამად არსებული ბათუმის ნავსადგური და იქ გაშენდეს დიდი საერთაშორისო კომპლექსი, სადაც ღუზას ჩაუშენებენ სახალხო სამგზავრო გემებს, იახტები და სხვა. ყველა ეს ტრანსპორტი ქ. ბათუმს უფრო მეტ შემოსავალს მისცემს ვიდრე არსებული ნავსადგური და ბათუმი გახდება საერთაშორისო მნიშვნელობის ქალაქი. ამჟამად ყველა ტვირთი რომელსაც გადაამუშავებს ბათუმის ნავსადგური, პირველ რიგში ნავთობპროდუქტები, გადაიტანის იქნას ქ. ფოთში. ამისათვის ქ. ფოთს გააჩნია საჭირო ტერიტორია და ყველა პირობები.

სამეგრელო-ზემო-სვანეთის გუბერნატორთან, ფოთში გაზრდილ პიროვნებასთან **ალექსანდრე პონეკალაისთან** გვაქვს შეთანხმება და თხოვნა ამ საკითხებთან დაკავშირებით. ჩვენ კარგა ხანია მზად გვაქვს მისთვის წარსადგენად ქალაქის და ნავსადგურის აღორძინებასთან დაკავშირებული პროექტები.

ჩვენი საზღვაო კონცეფცია მოიცავს ზღვის ნაპირგამაგრებას, ტურისტულ ინფრასტრუქტურას, დარგების დაკავშირებას-გემშეკეთება, თევზჭერა. ფოთი უნდა შევაბრუნოთ პირით ზღვისკენ.

ყველა ამ პროექტის განხორციელებისთვის ფოთის ყოფილმა მერმა ბატონმა **რომან მალია** ჩამოიყვანა ფოთში და ქალაქის აღორძინებაში ჩართო უმაღლესი რანგის სპეციალისტები თბილისიდან, მაგრამ ცნობილი მოვლენების გამო ეს საქმე შეფერხდა - ფოთის ნავსადგური ჩუმად გასხვიდა და არც ფოთისათვის დამოუკიდებელი ქალაქის სტატუსის მინიჭებაში არ დაუჭირა მხარი შვედრნაძის მთავრობამ.

ქ. ფოთის ტერიტორიაზე შეიქმნება ბევრი ახალი მსხვილი საწარმო, ასევე ჩართული იქნება ახლო მდებარე რეგიონები, განხილვა ახალი სამუშაო ადგილები. შეთავაზებული პროექტი გადის ერთი ქალაქის ჩარჩოდან და ის გახდება რეგიონალური პროექტი, ყველაფერი ეს მოვლენებს ახალ სამუშაო ადგილებს. არანაკლებ 5 ათასისა.

მსოფლიოში არსებობს სამი ეკონომიკური ცენტრი-ჩინეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპა. ეს არის მსოფლიო ეკონომიკის სატრანსპორტო რუქა - ევროპის პროექტი, ჩინეთი ასორციელებს და ამ პროექტის განსახორციელებლადის ხარჯავს 7-8 ტრილიონ დოლარს. ჩინეთი ამ შემთხვევაში წარმოდგენს მწარმოებელს ევროპის მოთხოვნისათვის. ყველაფერი ეს გადაფარავს მსოფლიო რუქას, ეს არის ახალი პოლიტიკური ეკონომიკა მსოფლიოში (აბრეშუმის გზა) გამომდინარე აქედან, არაა საჭირო ახალი ველოსიპედის გამოგონება, ის უკვე არსებობს თითქმის 2000წ-

ღია ფერილი საქართველოს პრეზიდენტს ფოთელთა იმედი და მოლოდინი მოლოდინი საქართველოს პრეზიდენტად დიდი ნიკო ნიკოლაის შთამომავლის, ქალბატონ სალმე ზურაბიშვილის არჩევის გამო ქვეყნის სამხედრო გომსტრატეგიული სიმდიდრე არ უნდა იყიდებოდეს ფოთელები 30 წელია ღრმანყლიანი პორტის მშენებლობას ითხოვენ, რასაც ახლა ისევ უცხოელებს უთმობენ

ღია, ჩვენ მხოლოდ ის დავივიწყებ. მრავალჯერ ჩვენი შეთავაზების შემდეგ დრმაწელიანი საერთაშორისო ნავსადგურის მშენებლობა განახორციელებს იმ კორიდორის შექმნას, რომელიც „აბრეშუმის გზა“ პქვია, რომელიც ჩვენი ქვეყნის და რეგიონის ბევრ პრობლემებს მოხსნის, პირველ რიგში განაპირობებს ტვირთის დაბალ ფასებში გატარებას, უსაფრთხოებას და საიმედოობას. ყველა ეს პირობა ჩვენს



შემთხვევაში შესრულებული იქნება, მაშინ თუ ჩვენ ამ მაგისტრალზე ჩვენთან ერთად რუსეთს ნოვოროსისკის ნავსადგურით. ეს არის ის სამკუთხედი, ჩინეთი საქართველო-რუსეთი-კონსტანცია. მხოლოდ რუსეთის დახმარებით და მისი გარანტიით შესაძლებელი იქნება შავი ზღვის ტერიტორიაზე ტვირთების უსაფრთხო გატარება, რასაც ითხოვს ჩინეთის მხარე, როგორც ამ პროექტის მთავარი სპონსორი და ფინანსისტი. ჩვენ ვათვლებით ჩვენს ვარიანტში გადახდილი რეინიგუნი ჩინეთი-საქართველოს დახმარება 9 დღე, და კიდევ 2-3 დღე ზღვით-კონსტანცამდე, სულ 12 დღე, ხოლო დანარჩენი გათვლები, რომელიც ტარდება მსოფლიოში, გაცილებით წამტკბიანია ჩვენ ვარიანტთან შედარებით ყველა პარამეტრით. პირველი ვარიანტი- ეს არის საზღვაო ტრასა ჩინეთი-ევროპა, რომელიც გრძელდება ყველა გათვლებით 36 დღე. ჩინელებს ამ შემთხვევაში მრავალი მოწინააღმდეგეები პყავს, წყნარი ოკეანის რეგიონში-იაპონია, სამხრეთ კორეა, ფილიპინები, ინდონეზია, ავსტრალია, ახალი ზელანდია, ვიეტნამი, ყველა ეს სახელმწიფოები, ყოველთვის დაბლოკავენ ჩინეთს მის რეგიონში და, ბუნებრივია, გადახდული ტვირთის ფასი იქნება ძალიან მაღალი და ძვირი, ამიტომ ეს ვარიანტი არაა ხელსაყრელი ჩინეთისათვის. მეორე ვარიანტი- ეს არის სახმე-

ლეთი გზა ჩინეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, თურქეთი და შემდეგ ევროპა რუსეთის გარშემოვლით, რომელიც თითქმის არ აწვობს ჩინეთს. მესამე ვარიანტი- წარმოდგინა არასტაბილურმა უკრაინამ, რომელიც მონაწილეობენ ჩინეთი-ყაზახეთი-აზერბაიჯანი-საქართველო-უკრაინა-პოლონეთი და გერმანია. ტვირთის გატარება მოხდება 2 ზღვაზე კასპიის და შავი ზღვის გავლით, ყაზახეთი არ მოიწონა ჩინეთმა და ამ ვარიანტის განხილვა შეწყდა. ჩინეთი მოწადინებული იყო, მის ძირითად პარტნიორ რუსეთს, როგორც ძირითად საყრდენს და შეგობარს, გაეტარებინა ტვირთი სახმელეთო გზით, ჩინეთი ყაზახეთი, რუსეთი, პოლონეთი, გერმანია, მაგრამ ეს აღმოჩნდა ძალიან ძვირი და ტვირთების გადახიდვამ 16 დღე გასტანა.

ბაჟონო ჯაჟალ, თქვენ რას სთავაზობდით მთავრობას, რა პრიუს თქვენი პროექტის პირობები?

ჩვენ ვთავაზობდით და ვთავაზობთ, უფრო მოკლე მარშრუტს, ჩინეთი - საქართველო, 9 დღე რკინიგზით და შემდეგ შავი ზღვით კონსტანცამდე, კიდევ 2-3 დღე რუსეთის მონაწილეობით ნოვოროსისკის ნავსადგურით. შავ ზღვაზე შეიკრება სამკუთხედი ჩინეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, საქართველო რუსეთი-ნოვოროსისკი-კონსტანცია. რუსეთი იქნება მთლიანად ტვირთების უსაფრთხო გატარების გარანტი „აბრეშუმის გზის“-კორიდორში და განსაკუთრებით შავი ზღვის აკვატორიაში კონსტანცამდე.

ეს არის შედარებით იაფი, უსაფრთხო, სტაბილური „აბრეშუმის გზა“ ყაზახეთი, აზერბაიჯანი, საქართველო რუსეთი. ჩინეთი საქართველო-რუსეთი-ევროპა. ალტერნატივა არ არსებობს. და თუ პერსპექტივაში ამ კორიდორში-საჭიროების შემთხვევაში ამოქმედდება არხი-ფაზისი, რომელიც შეაერთებს ორ ზღვას კასპიის და შავი ზღვის აუზს, ეს კიდევ უფრო იაფს გახდის ტვირთის გადატანას (10 დღე), და სწორედ ეს არის ჩინეთის მხარის მთავარი მოთხოვნა.

არხი-ფაზისის ვარიანტი ჩვენ შევთავაზეთ ჩინეთის მხარეს, როდესაც მიმდინარეობდა საერთაშორისო ფორუმში „აბრეშუმის გზა“

თბილისში და ფორუმის პრეზიდენტმა მიიღო ჩვენი წინადადება განსახილველად, ეს არის ჩინური ფირმა CEFC Cina Energi-ის თავმჯდომარე ჯიანმინგ.

ახე, რომ საქართველო სთავაზობს მსოფლიოს მის გეოპოლიტიკურ და გეოგრაფიულ მდებარეობას, როგორც შეუცვლელს. ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ იქ სადაც მოძრაობენ ტვირთშიდიები, მატარებლები და გემები, იქ ვითარდება ვაჭრობა, იქ სადაც ვითარდება ვაჭრობა, ვითარდება ადამიანის ცხოვრება, და იქ სადაც ხალხი ცხოვრობს კარგად, იქ არასოდეს არ იქნება ომები, მხოლოდ ამისათვის ღირს ამ სიკეთეზე წახვლა, ახე,



რომ ქ. ფოთს აქვს ყველა ის შესაძლებლობა, რომელიც არ გააჩნია სხვა ქალაქს, მაგრამ ამას რომ მივადვილოთ საჭიროა თქვენი დახმარება.

ჩვენ უნდა წავიდეთ თქვენი დიდი წინაპრის, დიდი ბაბუას, ნიკო ნიკოლაძის გზით, და ცხოვრებაში ხორცი შევასხათ ყველა იმ მიზნებს და ოცნებებს რაზეც ოცნებობდნენ ჩვენი წინაპრები -საქართველოს მთლიანობა -ნიეტრალიტეტი და სუვერენიტეტისათვის.

ს.ა. რომ ვიაროთ ნიკოლაის გზით!
ამ წერილის დაწერის დროს ინტერნეტ სივრცეში გამოჩნდა სტატია დათარიღებული 03.01.2019 წლით, რომლითაც „ამ ტერმინალი“ ადგენს ფოთის პორტის გაფართოების პროექტს ახალი ტერმინალების კონსორციუმთან ერთად. არადა, სამი წლის წინათ მოეწყო ამ პროექტის პრეზენტაცია, მაგრამ დუმდნენ ანაკლის გამო. ჩვენ 30 წელია გვაქვს უფრო დიდი პროექტები.

ჩვენ ვაღივებულები ვართ გაცნობით, რომ მზადდებთ მორიგი სამთავრო-

ბო ბლევი, ანაკლის პორტის ავანტურის ჩაყარდნის მერე, რაც მოხდა, **ბიძინა ივანიშვილის და ბიორკი განაჩინა** პრინციპული გამოსვლის შემდეგ, დღეს კი გამოჩნდა ახალი სამთავრობო ბლევი უკვე ფოთის ნავსადგურის მიმართ, მისი გაფართოების თაობაზე, როცა ძირძველი ნავსადგური დაეკარგა ქალაქს, ფოთელები არც ამ ახლისგან ელიან ხეირს, რამდენიმე აქაც კერძო პირების და არა სახელმწიფო ინტერესია.

იმედია ბატონები **ბიძინა ივანიშვილი და ბიორკი განაჩინა** მხარს დაევიჭრენ ფოთელებს ნიკოლაძისეული კონცეფციის რეალიზაციაში, რათა ფოთმა გააგრძელოს სიცოცხლე, როგორც საქართველოს საზღვაო კარიბჭემ. საერთოდ, სახელმწიფო სტრატეგიული ობიექტები, სახელმწიფო უშიშროების პრობლემაა და პარაპარად მისი გასხვისება დაახარალებს ქვეყანას.


დღეისათვის არსებობენ ძალები, რომელთაც სურთ საქართველოს და რუსეთის ერთმანეთისაგან საბოლოოდ დაშორება და ეს გახლავთ გეოპოლიტიკური დანაშაული ძალისტიანი ქვეყნების (მართლმადიდებელი) ქვეყნების რუსეთისა და საქართველოს მიმართ. იყო დრო, საქართველო და ქართველები ასრულდნენ უდიდეს როლს რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს ხდებოდა რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგაც (არ ვახსენებ!) თუკი რუსეთი და საქართველო შეძლებენ ამ დიდი პროექტებით დაახლოებას, მაშინ სამხრეთკავკასიაში საქართველო გახდება რუსეთის ყველაზე უახლესი პარტნიორი და გარანტი სტაბილურობისა სამხრეთ კავკასიაში, და არავინ სხვა!!!

ეს იქნება ყველაზე სწორი გადაწყვეტილება, როგორც რუსეთისთვის, ისე საქართველოსთვის. დანარჩენი მომავლის საქმეა თუ ქვეყანის ინტერესები მოითხოვს მეტრიც უნდა გამოიყენო! იქნებ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების დროც დადგეს.

გმადლობთ საუბრისთვის, გისურვებთ წარმატებას, იმედების და ოცნებების ასულებას.
ზურაბ აბრალაშვილი
ბაჟონო „ნიკოლაის გზით“ რედაქტორი
ბაჟონო „საქართველოს რესპუბლიკის“ სამ.პორ

სათანადოდ დავაყანოთ დიკნაული ფოთელაჟი

ვიქტორ კრატასიუკი 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადის ოქროს მედალოსანი სანიხზოსნო სპორტში
ფოთის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ გონა კურდელიას საქართველოს სპორტულ ცხოვრებაში დიდი წვლილი აქვთ შეტანილი ფოთელ სპორტსმენებს, განსაკუთრებით დიდი წარმატებები აქვთ მოპოვებული სპორტის სხვადასხვა სახეობების ასპარეზობებში ფოთელ ნიხზოსნებს, მათგან კი კაშკაშა ვარსკვლავია ვიქტორ კრატასიუკი 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადის ოქროს მედალოსანი სანიხზოსნო სპორტში.



მისი სახელის უკვდავსაყოფად ქალაქ ფოთის საზოგადოებამ და თვითმმართველობამ თავის დროზე ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩას უწოდა ვიქტორ კრატასიუკის სახელი. ჩვენ შემოვდივართ წინადადებით ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის წინაშე, რომ ქუჩის დასაწყისში რკინიგზის მოედნის კვეთასთან მოეწყოს სკვერი, სადაც დაიდგება ოლიმპიური ჩემპიონის ვიქტორ კრატასიუკის ბიუსტი.

ასევე გაცნობებთ, რომ ქალაქში არსებულ საინიციატივო ჯგუფს მზად აქვს ბიუსტის ესკიზური ნახაზი და პროექტი.

ჯაჟალ ბარსაგია

ნახო თოდუა ცნობილი მეფუტკრე და სახალხო მოქმელი



ძმაცაცხ
სამამაკანდემ შინი ფასი იცის, სიტყვის კაცი, აზ გამტყესი ფიცის, შინ ამ ქოლში სულ იყავი მაღლიანი, დაქნმათ ვინც კი ნახე დაბდიანი.

გამთადგი
ბრძ ვილატას გამთადგი, აზ შეგჭაბდეს ადრე ადგი, მისტწყმით უნდა შეძლდ ბრძ იხმაბრ ბრძე მაგი.

მჯგრბ
მე მას მტვიცედე ვაყალიბებ, ბა მჯგრბა და ბა აზ მჯგრბა, შვიბლუბა აზ დაიმტყეს მუნ ბაც გჯგრბა, ბაც აზ გჯგრბა, მაგბამ ამით აზ შეცვალდ მინი გულის მმვიდი მჯგრბა.

- ****
თუ სტენაზე საბ, აზ საბ გასული, აწმყდ მიცს ფასბს ვიდრე წაბსელი...

ჯეიმალ ჩხეიძის მონაბრევი

„სწრ. ღიბა. სიყმატე რა უწესოდ გუფინდა და წყი მადამ ეფერება თქონის ღონისძიან...“



ვის ქვაზე ამოუტვიფრავთ მისივე სიტყვები: „ერთი ლექსის იმედი აქვს ყველას./ ერთი ლექსი უკვდავებას უდრის!“

მოგონებებმა ბევრი რა ამოატივტივა ჩემს გონებაში და კიდევ ერთხელ შემახსენა ბრძენის ნათქვამი – სიცოცხლე ადამიანად ყოფნის სევედაო...

ბატონო ჯეიმალ, დვითით მომადლებული ნიჭის წყალობით, ერთხელ აღებული პასუხისმგებლობით, დირსეულად ემსახურეთ მშობელ ხალხს და ქვეყანას; ვათავისებულნი სანტიმენტებით და პირფარეხებით სიტყვიან ანუგეშებით ადამიანებს, ამიტომაც ცხოვრების მთავარ განაწესად გაიხადეთ სიტყვითა და საქმით ხალხისა და მამულის სამსახური და, როგორც დიდი გალაკტიონი იტყვოდა, ანგარიშს აბარებდით ხალხს და არა ყოველ გამვლულს გამოგვლულს. ეს პასუხისმგებლობა კი, თქვენ მიერ ნაკისრი, საქართველოსთვის დაღვრილი სისხლის მემკვიდრეობის დიდი უფლება იყო.

ბევრი აღმართი აიარეთ, ზმირად ძალზე გაგტირებიათ კიდევ, მაგრამ ამ აღმართს ფასი ჰქონდა, რადგან მუდამ გახსოვდათ, რომ ჩვენი ვატერლო და ჩვენი ბორღინო ყველას გვაქვს ამ ქვეყანაზე...

პატივცემულო მკითხველო, ჩემო საყვარელო ფოთლებო!

ამასწინათ დიდუბის პანთეონში-გახდით და ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილების – კორიფების საფლავებთან მუხლი კიდევ ერთხელ მოვიყარე... სიამაყის გრძობა დამეფულა, როდესაც რჩეულთა შორის ჩვენი ქალაქის მკვიდრი, თვითმყოფადი და ინდივიდუალიზმით გამორჩეული პოეტის – ბატონ ჯეიმალ ჩხეიძის საფლავიც მოვინახულე...

ახლახან, მისი ფოთელი მეგობრების ინიციატივით პოეტის საფლა-

დომის ნიღბით არასოდეს გივლიათ, ცარცით შემოხაზულ წრეში ციცაბო თამამად გაგივლიათ, თხოვნი ჭინკასავით გაგილახავთ, თან ისე, რომ მას ქამარზე დაკიდულმა ოქროს ქისამაც ვერ უშეგლა... იცოდეთ, რომ ამქვეყნად ერთი ციციქნა სიკეთე ყოფნის ადამიანს, ამიტომაც მადლი და სიბოლო ბევრი არიგეთ ცრემლად, სიცილად და ვარდებად...

ზოგჯერ წყნარი იყავით, ზოგჯერ – გიჟი და ზოგჯერ ბავში. აკი, ამბობდით კიდევ: „დილით, როდესაც ფოთლიდან შაში აკენაკავს ცვარის ფერად ბურთულებს, ჩემში იღვიძებს პატარა ბავში და მეც ცხოვრებას საქმეს ვურთულებ!“

ჯოხის ცხენის ფრუტუნით და სისატურათი, „დადით, როდესაც უკაკუნებდა წვიმა სახურავს“, ჩუმ ჩელას მდევროდით და განდაგანაც გიცვიკვითათ... ბავშივით უმზერდით შურსა და დედას და სათონებდასეველარ იცილებდით...

მამულზე ფიქრით, ბავშვური შორი ოცნებით, ნათელ მიზნამდე მივიყვანათ დედის ლოცვამ და იღვწეთ ასე – სისხლით, ცრემლით, ოფლით ნაბანმა, ყველა ქართველზე, ყველა-ფოთელზე გულით შეყვარებულმა და გზას გინათებდათ მოქარბული ქართული ანბანი...

მოწყენილი კაცის ავადმყოფობას კურნავდით, სიყვარული გასულდგმულებდათ და გაკეთილშობილებდათ...

„მომე სხეულა სითბო შენი მიწის-სურნელით, აზიდულ ტვირთსაც, უცაბედად, ხელი შევუშვი და განნდა ასე საოცარი იგი სურვილი, რომ აწიოკდა უჯრედები ამ ჩემს სხეულში...“

ატიმისფერ დილას ლურჯი თვალებით უმზერდით და შესთხოვდით უფალს: „წუთისოფელში ხეტიალი კიდევ მაცალე, ამ ჩემს მამულში მათქმევინე, რაიც მაწვალებს... ადარ მომაკლო ოღონდ ჩემი მიწისსირბილე, შენიმირონი, შენი სითბო, შენი ტადრები...“

ბატონო ჯეიმალ, თქვენ თქვენი და ჩვენი სათქმელი ნამდვილად თქვით და დაგვიტოვეთ არაჩვეულებრივი ლექსები და მოგონებები, ამიტომაც ქართველმა საზოგადოებამ განსასვენებელი მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში მიგინათ, სადაც თქვენი საფიცარი მამულის მიწის სირბილეს აუცილებლად იგრძნობთ...

ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სული!

ასონიაცია „ფოთი და ფოთელის“ სახელით, ნუზუარ კაჭარაშვილი

სკორპი

2018 წლის წარმატებული სკორტსმენებისა და მწვრთნელების დაჯილდოება

კულოსკო!



ლადო ლომიაი გახლავთ 2018 წლის საქართველოს ჩემპიონი კრივში, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული და ევროპის ჩემპიონატის III საპრიზო ადგილის მფლობელი 63 კგ წონით კატეგორიაში. მისი მწვრთნელი გახლავთ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი რუბენ ქიქავა. ლადო ლომიაი არის კრივის სასპორტო სკოლის მოკრივე, მენეჯერი რუბენ ქიქავა.

2018 წლის 28 დეკემბერს გაიმართა წლის საუკეთესო სკორტსმენებისა და მწვრთნელების დაჯილდოების საზეიმო ცერემონია, სადაც აგრეთვე დაჯილდოვდნენ იუბილარები, პარალიმპიელები, წლის საუკეთესო სკორტული სკოლა, წარმატებული ლეგიონერები და სამოყვარულო ფეხბურთის გამარჯვებული გუნდი „ჭაბონამა“.

ჯაბა თურქი არის 2018 წლის საქართველოს ჩემპიონი ჭიდაობა-სამბოში, ევროპისა და მსოფლიო პირველობების ბრინჯაოს მედლის მფლობელი ჭაბუკებს შორის 56 კგ წონით კატეგორიაში. მისი მწვრთნელები გახლავთ ზურაბ ძაძაძია და კონსტანტინე ხუბუტია.

წლის საუკეთესო სკორტსმენად დასახელდა გივი ნადარეიშვილი, რომელიც გახლავთ ჭიდაობა-სამბოში 2018 წლის მსოფლიო თასისა და მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი და ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელი 57 კგ წონით კატეგორიაში. მისი მწვრთნელი გახლავთ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ზურაბ ტულუში. გივი ნადარეიშვილი არის ჭიდაობის სასპორტო სკოლის მოჭიდავე, მენეჯერი გრიგოლ ბუგუშვილი.

ლუკა გაღვილია გახლავთ 2018 წლის საქართველოს ჩემპიონი ჭიდაობა-სამბოში, მსოფლიო ჩემპიონატის III საპრიზო ადგილის მფლობელი კადეტებს შორის 46 კგ წონით კატეგორიაში. მისი მწვრთნელები გახლავთ ვალერი გიგბერია და ნუკრი ბერაია.

წლის საუკეთესო ნომინანტებად დასახელდნენ:

საბა ტყეპუჩავა გახლავთ 2018 წლის საქართველოს ჩემპიონი კრივში და ევროპის ჩემპიონი უმცროსი ასაკის მოკრივეთა შორის 44.5 კგ წონით კატეგორიაში. მისი მწვრთნელი გახლავთ ლაშა ონიგავა.

მურმან მაღანია გახლავთ 2018 წლის საქართველოს ჩემპიონი ერთადგილიან და ორადგილიან კანოეთი ნიჩბოსნობაში 200 მ. დისტანციაზე. მსოფლიო თასის ფინალური გაცურვის მონაწილე 200 მ. დისტანციაზე, ევროპის ჩემპიონატის ფინალური გაცურვის მონაწილე 200 მ. დისტანციაზე. მან მსოფლიო ჩემპიონატზე ახალგაზრდებს შორის მობოვა V ადგილი 200 მ. დისტანციაზე. მისი მწვრთნელი გახლავთ ზურაბ მაღანია. ის გახლავთ კანოე კლუბი „საქართველო“-ს ნიჩბოსანი.

ირაკლი ჯანელიძე გახლავთ 2018 წლის საქართველოს ჩემპიონი კრივში და ევროპის ჩემპიონი უმცროსი ასაკის მოკრივეთა შორის 65 კგ წონით კატეგორიაში. მისი მწვრთნელი გახლავთ თემურ ონიგავა.

გიორგი გუგუქორი გახლავთ 2018 წლის ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელი კრივში 60 კგ წონით კატეგორიაში. მისი მწვრთნელი გახლავთ მიხეილ ცქიროია.

დიანა ლომიაი არის 2018 წლის საქართველოს ჩემპიონი 14 წლამდე გოგონათა შორის, საქართველოს ვიცეჩემპიონი 16 წლამდე გოგონათა შორის, მსოფლიო სა-

სამივე მოკრივე გახლავთ ზურაბ სარსანიას სახელობის მოკრივეთა კლუბ „ლიდერი“-ს მოკრივეები, მენეჯერი ნიკოლოზ იხორია.

ჭადრაკო ოლიმპიადის მონაწილე ქალთა შორის, ყველაზე უმცროსი მოჭადრაკე, სადაც მონაწილეობდა 180 ქვეყნის ქალთა ნაკრები, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების მონაწილე და ევროპის ვაჟთა ჩემპიონატის მონაწილე. მისი მწვრთნელი გახლავთ დათო კოდუა. დიანა ლომიაი არის ჭადრაკისა და შაშის სასპორტო სკოლის მოჭადრაკე, მენეჯერი დათო კოდუა.

სოფიკო აფხაზავა არის 2018 წლის საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებული უ-17-ში, საერთაშორისო ტურნირის II ადგილის მფლობელი, ევრაზიის უ-17-ს „ვარსკვლავის თასი -2018“-ის გამარჯვებული 3 სახეობაში, ევროპის ჩემპიონატის IV ადგილის მფლობელი. ის დასახელდა 2018 წლის ქალაქის ყველაზე ახალგაზრდა წარმატებულ სკორტსმენ ნომინანტად. მისი მწვრთნელი გახლავთ ვანსლ დუნდუა. სოფიკო აფხაზავა არის საბრძოლო ხელოვნებათა სკოლის აღზრდილი, მენეჯერი ზაზა ქოიავა.

ბესარიონ ღურჯია დაჯილდოვდა ქალაქ ფოთში კრივის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის და 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით. ის გახლავთ საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის სპარტაკიადის ფინალისტი ახალგაზრდებს შორის და საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი ახალგაზრდებში 71 კგ წონით კატეგორიაში.

როლანდ ვარუჩავა დაჯილდოვდა ქალაქ ფოთში კალათბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის და 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით. ის გახლავთ თბილისის „დინამო“-ს ვაჟ კალათბურთელთა გუნდის წევრი, რომელიც წარმატებით ასპარეზობდა საბჭოთა კავშირის პირველობაზე კალათბურთში, ის გახლავთ საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი ახალგაზრდებში, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი, რომელიც წარმატებით ასპარეზობდა სხვადასხვა საერთაშორისო პირველობებზე. სკორტული კარიერის დასრულების შემდეგ ეწევა სამწვრთნელო საქმიანობას.

ამირან შავგულიძე დაჯილდოვდა ქალაქ ფოთში რაგბის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის და 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით. ის სხვადასხვა წლებში თამაშობდა რაგბის გუნდებში: თბილისის „სპარტაკ“-ში, თბილისის „ელვა“-ში, რომელიც ასპარეზობდა საბჭო-

თა კავშირის ჩემპიონატში, ქუთაისის „აია“-ში, ხარკოვის მორაგბეთა გუნდში, ხოლო 1989 წლიდან ეწევა სამწვრთნელო საქმიანობას და ქუთაისის უნივერსიტეტში აყალიბებს მორაგბეთა გუნდს „აიკტ“-ს, რომელიც თამაშობდა საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში. 1998 წლიდან ჩამოაყალიბა რაგბის სკოლა, ის გახლავთ რაგბის სასპორტო სკოლის მენეჯერი. რაგბის სკოლის აღზრდილები დღესდღეობით თამაშობენ საქართველოს ეროვნულ ასაკობრივ ნაკრებებში და ევროპის სხვადასხვა კლუბებში. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის სპარტაკიადის ფინალისტი ახალგაზრდებს შორის და საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი ახალგაზრდებში 71 კგ წონით კატეგორიაში.


დარეჯან რუხაძე დაჯილდოვდა ქალაქ ფოთში მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდაში შეტანილი წვლილისათვის და 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით. ის წლებს განმავლობაში იყო ხელბურთელ გოგონათა ნაკრები გუნდის წევრი, რომელიც წარმატებით ასპარეზობდა როგორც საქართველოში, ასევე საბჭოთა კავშირის პირველობებზე. სკორტული კარიერის დამთავრების შემდეგ ის ეწევა მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს 5 საჯარო სკოლაში.

ზურაბ ქვანია დაჯილდოვდა ნომინაციით - 2018 წლის ფოთის საუკეთესო ლეგიონერი. ის გახლავთ საქართველოს ნაკრების წევრი და ინგლისის სარაგბო გუნდ „ვაფსი“-ს მოთამაშე.

ნომინაციაში წარმატებული სამოყვარულო ფეხბურთის გუნდი „ჭაბონამა“ დაჯილდოვდა „მოყვარულთა თასი 2018“-ის გათამაშებაში: საქალაქო, რეგიონალურ, ზონალურ და დასკვნით ფინალურ მატჩში მიღწეული გამარჯვებისათვის. ის გახლავთ საქართველოს 2017 წლის გამარჯვებული და სერბეთის გამართულ საერთაშორისო მოყვარულთა თასის გათამაშების მონაწილე.

პარალიმპიელები პაატა თევზაძე დაჯილდოვდა 2018 წელს პარალიმპიურ ფეხბურთზე მიღწეული წარმატებისათვის. ის გახლავთ საქართველოს პარალიმპიური ნაკრების წევრი, საქართველოს თასის გათამაშების II საპრიზო ადგილის მფლობელი ფეხბურთში, პარალიმპიურ საერთაშორისო ტურნირის მონაწილე და გატანილი ბურთის ავტორი.

ჯემალ თოფურიას ხსოვნისადმი მიძღვნილი IX საჭადრაკო ფესტივალი



3-15 დეკემბერს ფოთის საჭადრაკო კლუბში ჩატარდა ჯემალ თოფურიას ხსოვნისადმი მიძღვნილი IX საჭადრაკო ფესტივალი. ფესტივალის პროგრამით გაიმართა 5 სხვადასხვა ტურნირი: 7, 6, 5 წლის დამწყებ მოჭადრაკეთა ტურნირები, ოჯახთა პირველობა, ფოთის საჯარო სკოლების პირველობა, 9 და 7 წლის მოჭადრაკეთა ტურნირები, რეგიონის დია ჩემპიონატი ბლიცში.

ჯემალ თოფურიას ხსოვნისადმი მიძღვნილი მე-9 საჭადრაკო ფესტივალი წარმატებით დასრულდა. მასში 300-მდე მოჭადრაკე მონაწილეობდა. ფესტივალის ფარგლებში 5 სხვადასხვა ტურნირი ჩატარდა. გამარჯვებული მოჭადრაკეები მედლებით დიპლომებითა და თასებით დააჯილდოვეს. გამარჯვებულებს ასევე ფულადი პრიზები და საჩუქრები გადაეცათ. ფესტივალი შპს "კავტრექს ფოთის" სპონსორობითა და ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა.

ჯემალ თოფურიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საჭადრაკო ფესტივალი საზეიმო ვითარებაში დაიხურა.

ინგა და ზურაბ აბრალაგები იზიარებენ ქალბატონ ნონა ჟორდანიას მწუხარებას, მამის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

ფოთის №7 ბაგა-ბადის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნონა ჟორდანიას მამის გარდაცვალების გამო.

პანხანგ ბრიგოლის-ქა ლაშქარავეს არღვიწყებას!



საქართველოს ვეტერანთა ცენტრალური კავშირის ფოთის საქალაქო კავშირის წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 71 წლის ასაკში ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს დამოუკიდებლობის, ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ საომარი მოქმედებების მონაწილე, სამშობლოს ჭეშმარიტად გულანთებული პატიოლი, მშობლიურ ფაზის-ქალაქზე უზომოდ შეყვარებული კაცი და საუკეთესო მეგობარი-პანხანგ ბრიგოლის-ქა ლაშქარავე! წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი კოლხი ვაჟკაცი, ვინც თავისი მხრებით ატარა მისი თაობის დიდებაც და ჭირ-ვარამიც, გამარჯვებაც და ტკივილიც, ვინც თავი არ დაუ-

დო მუხანათ და ვერაგ წუთისოფელს და მიუხედავად უსაზღვრო ფიზიკური და სულიერი განსაცდელისა სამაგალითო იყო ერთობაშიც, ძმობაშიც და მეგობრობაშიც! მან ერთ-ერთმა პირველმა ფაზის-ქალაქელმა შემოქმერმა განგაშის ზარს ენგურს გადმა საქართველოში--აფხაზეთში დატრიალებულ ცოდვა-ბრალზე და სხვადასხვა თაობის ფოთელებთან ერთად გაეშურა სამშობლოს გადასარჩენად! პირუთენელი და სამაგალითო იყო მისი მოქალაქეობრივი პოზიცია ძმათაშორის და პირისპირების უმძიმეს პერიოდში, რითაც მან თავისი თანაქალაქელების ჭეშმარიტი სიყვარული დაიმსახურა! ფოთელებს დიდხანს ემახსოვრებათ თავისი მშობლიური ქალაქის ქუჩებში ამაყად მოსიარულე, ყოველთვის პეწიანად ჩაცმულ- დახურული, საუკეთესო ტაქტით და მანერებით შემკული კოლორიტი თანაქალაქელი-ყველა რომ ჩვეს ვახოს უწოდებდა! ვაგლახ, რომ იგი მართლაც დააკლდა ფაზის-ქალაქს! მშვიდლობით ვახტანგ ბატონო! ზეცად ამადლებიდან მეორმოცე დღეს უფალმა დაგიმკვიდროს ადგილი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ! თავს გიხრით ჩვენო ძმაო სამარადჟამო არდავიწყების ნიშნად!

უახლოესი მეგობრები

ჯემალ თოფურია

დაიბადა ქ. ფოთში 1938 წლის 20 იანვარს

- 1956 წელს დაამთავრა ფოთის მე-2 საშუალო სკოლა
- 1961 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი
- 1961 წლიდან მუშაობს ფოთის ჰიდრომექანიზაციის მანქანათმშენებლობის ქარხანაში ინჟინრად, კონსტრუქტორად, ქარხნის მთავარ მექანიკოსად, ენერგომექანიკური სამსახურის უფროსად, ქარხნის მთავარ ინჟინრად.
- 1967 წლიდან მუშაობდა ფოთის საოკეანო ტევზჭერის სამმართველოს გემთსარემონტო ქარხნის დირექტორად, გემის კაპიტნის პირველ თანაშემწედ.
- 1978 წელს გადაყვანილ იქნა საზღვაო სკოლის დირექტორად
- 1981 წლიდან ინიშნება ფოთის საგზაო სამმართველოს უფროსად
- 1985 წლიდან ინიშნება ფოთის ელექტრომექანიკური გამაძლიერებლების ქარხნის მთ. ინჟინრად
- 1986 წელს ინიშნება ავტოსანარმო გაერთიანების გენ. დირექტორის მოადგილედ
- 1987 წელს არჩეულ იქნა ჰიდრომექანიზაციის მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორად
- 1992 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა შპს. "კავტრექს — ფოთის" განყოფილების უფროსად, გენერალურ დირექტორად, კონსულტანტად.
- ქაბუკობისა და ახალგაზრდობის წლებში გატაცებული იყო სპორტის სახეობით — კალათბურთითა და ქადრაკით
- იყო პირველთაშირისი ქადრაკში, რომლის საყვარული გამგეა სიცოცხლის ბოლომდე
- იყო მუსიკალური პიროვნება, ორგანიზატორი და მეცენატ-ქველმოქმედი

სერგო მურუსიძე



სიძე! ზეცად ამადლდა კიდევ ერთი ენგურსგადმედი ქართველი კაცი ---აფხაზეთსა და თავის მშობლიურ სოხუმ-ქალაქზე უზომოდ შეყვარებული მამულიშვილი, ვინც აფხაზეთის ტრაგედიის პირველი წუთებიდან იარაღი აისხა და სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა! ვაგლახ, რომ სოხუმის და აფხაზეთის დაცვასთან ერთად დაიწყო მისი ტკივილით და განსაცდელით სავსე ცხოვრება! მუხანათ დროებას, ახლა კი სიკვდილს ვერ აჯობა ჩვენმა სერგომ! ზეც ფაზის-ქალაქის მიწა გულში ჩაისუტებს ვალმოხდილ ქართველ კაცს და დაუამებს მის მიწიერ ტკივილს! ამ ქვეყნად კი დარჩებიან სერგოს ოჯახი--მეუღლე, ქალიშვილები, ვაჟიშვილი... დავრჩებით ჩვენ, ვისაც სიკვდილის კარამდე გვეყვარება და გვემახსოვრება თავმდაბალი, მოკრძალებული და უპრეტენზიო სერგო ომარის-ძე! მშვიდობით ჩვენო სერგო! მშვიდობით სამშობლოს ვალმოხდილო ჯარისკაცი! თავს გიხრით არდავიწყების ნიშნად და უფალს შევთხოვთ ზეცად ამადლებიდან მეორმოცე დღეს დაგიმკვიდროს ადგილი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ!

ამგობრები